

პირობები

წინამდებარე პირობები ბოლოს განახლდა 2019 წლის 21 იანვარს.

მითითებები: „თქვენ“, „თქვენი“ ან „მომხმარებელი“ გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს წვდომა ვებ-გვერდზე („ვებ-გვერდი“). მითითებები: „ჩვენ“ ან „ჩვენი“ გულისხმობს „სს პოლიმათ გრუფს“ (JSC Polymath Group) (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი ორგანიზაცია, საიდენტიფიკაციო კოდი 402096227). მითითებები: „სს პოლიმათ გრუფს“ (JSC Polymath Group) გულისხმობს ჩვენ ან ნებისმიერ სხვა კომპანიებს, რომელთაც ნაწილობრივ ან სრულად ვფლობთ ნებისმიერ პერიოდში.

გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხეთ „მომხმარებლის ხელშეკრულების“ პირობები. ვებ-გვერდზე წვდომით თქვენ თანხმობას გამოთქვამთ ქვემოთ მითითებული პირობების დაცვაზე. აღნიშნული პირობები შეცვლას ექვემდებარება შეტყობინების გარეშე, პერიოდულად, ჩვენი პირადი გადაწყვეტილებისამებრ. აღნიშნული პირობების ცვლილებებზე შეგატყობინებთ მითითებულ ვებ-გვერდზე მათი განთავსებით. ვებ-გვერდზე წვდომა ან მისი გამოყენება ჩაითვლება აღნიშნულ ცვლილებებზე თანხმობად.

ზოგადი პირობები

- www.area.ge - აღნიშნულ ვებ-გვერდზე განთავსებული მომსახურების გამოყენება ნიშნავს, რომ თქვენ თანახმა ხართ დაიცვათ აქ მითითებული სავალდებულო პირობები. იმ შემთხვევაში, თუკი არ გამოთქვამთ თანხმობას აღნიშნული პირობების დაცვაზე, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ მომსახურების გამოყენება და დატოვოთ ვებ-გვერდი. გთხოვთ, ვებ-გვერდის ან რომელიმე მომსახურების გამოყენებამდე დაკვირვებით წაიკითხეთ პირობები.
- www.area.ge-ს მართავს „სს პოლიმათ გრუფი“ (JSC Polymath Group) (საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და მოქმედი ორგანიზაცია, საიდენტიფიკაციო კოდი 402096227) („კომპანია“ ან „ჩვენ“). ჩვენ ვართ დეველოპერთა გუნდი, რომლებმაც ახალი კონცეფცია შევიმუშავეთ უძრავი ქონების ონლაინ ბაზარზე საქართველოში, აღნიშნულ ვებ-გვერდზე გთავაზობთ საჭიროებებზე მორგებულ უძრავი ქონების გაყიდვას და/ან გაქირავებას („უძრავი ქონების მომსახურება“ ან „მომსახურება“). აღწერისათვის გთხოვთ იხილოთ „[მომსახურების](#)“ პლატფორმა თქვენს ვებ-გვერდზე.
- როდესაც თქვენ („საბოლოო მომხმარებელი“ ან „მომხმარებელი“ ან „თქვენ“ ან „კლიენტი“) იყენებთ ჩვენს ვებ-გვერდს ან მომსახურებას, ასეთი გამოყენება უნდა მოიცავდეს აღნიშნულ პირობებს („მომსახურების პირობები“, „გამოყენების პირობები“ ან „ხელშეკრულება“ ან „მომხმარებლის ხელშეკრულება“).
- წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად, [„კონფიდენციალურობის პოლიტიკა“](#) ეხება ვებ-გვერდის და მომსახურების გამოყენებას, შესაბამისად ვებ-გვერდის ან ნებისმიერი მომსახურების გამოყენებამდე აღნიშნული წინასწარ უნდა გააანალიზოთ. [„კონფიდენციალურობის პოლიტიკა“](#) განთავსებულია ვებ-გვერდზე და შეადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

- შესაძლოა მომსახურების პირობები გამოვაქვეყნოთ რამდენიმე ენაზე მომხმარებლებისთვის ინფორმაციის წვდომის გამარტივების მიზნით. პირობების ინგლისურ ვერსიასა და ნებისმიერ სხვა ვერსიაში ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.
- ინტეგრირებული მომსახურების მომწოდებლების პირობები ავსებს წინამდებარე პირობებს მანამ, სანამ ისინი კონფლიქტში არ მოდიან წინამდებარე ხელშეკრულებასთან. ნებისმიერი ასეთი ინტეგრირებული მომსახურების გამოყენებით, თქვენ თანხმობას გამოთქვამთ ასეთი პირობების დაცვაზე. ვებ-გვერდზე წინამდებარე მომსახურების პირობებსა და ნებისმიერი სხვა მომხმარებლის პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, აღნიშნულ პირობებს მიენიჭება უპირატესობა ჩვენსა და თქვენს შორის ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობისას.

1. შესავალი ნაწილი

1.1. კომპანიაში დარეგისტრირებით და/ან კომპანიის მომსახურების გამოყენებით და/ან „ვეთანხმები პირობებს“ უჯრის (ან ნებისმიერი სხვა ფორმულირების) მონიშვნით თქვენ თანხმობას გამოთქვამთ დაიცვათ მომხმარებლის ხელშეკრულება სრულად და უპირობოდ. შესაბამისად, მომხმარებლის ხელშეკრულება წარმოადგენს თქვენსა და კომპანიას შორის დამაკავშირებელ კანონიერ დოკუმენტს რომელიც არეგულირებს ჩვენს ურთიერთობას.

1.2. კომპანიის ვებ-გვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტ პლატფორმა Area.ge-ზე, საშუალებას გაძლევთ გამოიყენოთ ჩვენი მომსახურება. კომპანია უფლებას იტოვებს, სრულად ან ნაწილობრივ, შეაჩეროს, შეცვალოს, გააუქმოს ან დაამატოს მომსახურება, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, დაუყოვნებლივ. კომპანია გარანტიას იძლევა, რომ შეგატყობინებთ ასეთი ცვლილების თაობაზე გონივრულ ვადაში, სხვა მხრივ გირჩევთ პერიოდულად შეამოწმოთ მსგავსი განახლებები, წარმოდგენილი ჩვენს ვებ-გვერდზე, ასევე გაეცნოთ კომპანიის წარმოდგენილ ცვლილებებს. კომპანია პასუხს არ აგებს ნებისმიერი ცვლილების შედეგად მოყენებულ ზარალზე და ამ მხრივ არ რაიმე პრეტენზია კომპანიის მიმართ არ დაიშვება.

1.3. მომსახურებაზე წვდომა შეგიძლიათ მხოლოდ თქვენი პირადი ანგარიშიდან და ვერ შეძლებთ მომსახურებაზე წვდომას სხვა პირის ანგარიშით. იმ შემთხვევაში, თუკი შეეცდებით მომსახურების გამოყენებას ნებისმიერი სხვა პირის ანგარიშით, ჩვენ უფლება გვექნება დაუყოვნებლივ დავხუროთ თქვენი ყველა ანგარიში, დავაკავოთ ასეთ ანგარიშებზე არსებული თანხები და შეგიზღუდოთ მომავალში მომსახურების გამოყენება.

1.4. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია პირადი გადაწყვეტილებისამებრ გააუქმოს თქვენს მიერ დარეგისტრირებული ან გამოყენებული რამდენიმე ანგარიში. კომპანია პასუხს არ აგებს რამდენიმე ანგარიშის რეგისტრაციის პრევენციაზე ან

ნებისმიერი პირის მიერ გახსნილ რამდენიმე ანგარიშზე, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე ისეთ სიტუაციებზე, როდესაც ერთი უძრავი ქონება რეგისტრირებულია შესათავაზებლად ვებ-გვერდით რამდენიმე ანგარიშზე სხვადასხვა მომხმარებლის ან კომერციული მომხმარებლის მიერ, ასეთი ანგარიშების გახსნის მომენტიდან რეგისტრაციის დეტალების მითითების მიუხედავად.

2. თანხმობა და ცვლილებები

2.1. იმ შემთხვევაში, თუკი არ ეთანხმებით მომხმარებლის ხელშეკრულების რომელიმე პირობას, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ ვებ-გვერდის და მომსახურების გამოყენება და შეაჩეროთ წვდომა თქვენი კომპიუტერიდან და/ან რომელიმე სხვა მოწყობილობიდან.

2.2. უფლებას ვიტოვებთ პერიოდულად შევცვალოთ, განვაახლოთ და მოდიფიკაცია გავუკეთოთ მომხმარებლის ხელშეკრულების პირობებს. ჩვენ შეგატყობინებთ ასეთი ცვლილებების შესახებ ვებ-გვერდზე (Area.ge) მომხმარებლის ხელშეკრულების ახალი ვერსიის გამოქვეყნებით. მომხმარებლის ხელშეკრულების ნებისმიერი შეცვლილი ვერსია ძალაში შევა ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე. ზემოთხსენებული ცვლილების შემდეგ ვებ-გვერდის და მომსახურების გამოყენების გაგრძელება ჩაითვლება მომხმარებლის ხელშეკრულების ცვლილებებზე თანხმობად. თქვენს პასუხისმგებლობად რჩება მომხმარებლის ხელშეკრულების მიმდინარე, სწორი პირობების ცოდნის უზრუნველყოფა და გირჩევთ რეგულარულად შეამოწმოთ განახლებები.

3. საიტის გამოყენება

3.1. პასუხისმგებელი ხართ ვებ-გვერდზე წვდომის და გამოყენების მიზნით საჭირო ტელეფონის, კომპიუტერული მოწყობილობის, პროგრამული უზრუნველყოფის და სხვა ტექნიკის უზრუნველყოფაზე. თქვენ გაკისრიათ პასუხისმგებლობა როგორც მონაცემების და/ან ტექნიკის ადეკვატურ დაცვასა და გამოყენებაზე, ასევე გონივრული და სათანადო სიფრთხილის ზომების დაცვაზე კომპიუტერის ვირუსების და სხვა მსგავსი მახასიათებლების სკანირებისთვის.

3.2. მკაცრად გეკრძალებათ ჩვენი სისტემების ან ვებ-გვერდის არავტორიზებული გამოყენება, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, არავტორიზებული შესვლა ჩვენს სისტემებში, პაროლის არასწორად გამოყენება, ვებ-გვერდზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაციის ბოროტად გამოყენება. პირადი გადაწყვეტილებით შეგვიძლია შევწყვიტოთ თქვენი წვდომა ან ვებ-გვერდის გამოყენება, ასევე განვახორციელოთ ნებისმიერი საჭირო ქმედება, ნებისმიერი მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი რწმენით, თქვენ არ იმოქმედებთ ვებ-გვერდის პირობების შესაბამისად.

4. თქვენი კონტენტი

4.1. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ვებ-გვერდი და მომსახურება კონკრეტულ საჭიროებებთან დაკავშირებული კონტენტის ასატვირთად და გასაზიარებლად უძრავ ქონებასთან მიმართებაში შესათავაზებელი ან სარეკლამო ტრანზაქციების გათვალისწინებით. ამ მხრივ, შესაძლებელია ატვირთოთ კონტენტი, რაზედაც ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, თქვენი კონტენტის/მონაცემების ატვირთვის და კონტროლის თავისუფლება არ შეიძლება იქნას გამოყენებული სხვების უსაფრთხოების და კეთილდღეობის ხარჯზე ან ჩვენს საზოგადოებასთან და ვებ-გვერდთან ინტეგრაციაში. მაშასადამე, თანხმობას გამოთქვამთ ქვემოთ აღწერილის გამოყენებაზე (ან ხელი შეუწყოთ ან დაეხმაროთ სხვებს აღნიშნულში):

4.1.1. თქვენ არ შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩვენი პროდუქტები ან გააზიაროთ რაიმე:

4.1.1.1. რაც არღვევს მომსახურების პირობებს, ჩვენი კონტენტის კონფიდენციალურობას და ვებ-გვერდის გამოყენების სხვა პირობებს, სტანდარტებსა და კონფიდენციალურობას;

4.1.1.2. რაც არის უკანონო, დამაბნეველი, დისკრიმინაციული ან თაღლითური;

4.1.1.3. რაც არღვევს ან ლახავს სხვების უფლებებს.

4.2. თქვენ არ შეგიძლიათ ატვირთოთ ვირუსები ან მავნებელი კოდები ან ნებისმიერი რამ, რაც ზღუდავს, ართულებს ან აზიანებს ვებ-გვერდის, ან მისი კონტენტის ან ჩვენი მომსახურების სათანადო მუშაობას ან გამართულობას.

4.3. თქვენ არ შეგიძლიათ მიიღოთ წვდომა ან შეაგროვოთ ინფორმაცია ჩვენი ვებ-გვერდიდან ავტომატური საშუალებების გამოყენებით (ჩვენი წინასწარი თანხმობის გარეშე) ან სცადოთ ისეთ ინფორმაციაზე წვდომაზე, რაზედაც არ გაქვთ ნებართვა.

4.4. თქვენ არ შეგიძლიათ წაშალოთ კონტენტი, რომელსაც აზიარებთ აღნიშნული პირობების დარღვევით და, თუკი შესაძლებელია, ჩვენ შეგვიძლია ქვემოთხსენებული მიზეზებით მივიღოთ ზომები თქვენს ანგარიშთან დაკავშირებით. ჩვენ ასევე შეგვიძლია გავაუქმოთ თქვენი ანგარიში, თუკი განმეორებით დაარღვევთ სხვა ხალხის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

4.5. ჩვენი საზოგადოების მხარდასაჭერად, გიწვევთ რეპორტი გაუკეთოთ კონტენტს, რომელიც თქვენი შეხედულებით არღვევს სხვის უფლებებს (მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს) ან ჩვენს პირობებს და კონფიდენციალურობას.

4.6. ზემოთხსენებული მიზეზების გარდა, თქვენ ნათლად თანხმდებით კომპანიის მიერ თქვენი კონტენტის რედაქტირებაზე გრამატიკული, სტილისტური ან სხვა მსგავსი კუთხით, აღნიშნულით ტექსტში არსებითი ცვლილების შეტანის გარეშე. ასეთი

რედაქტირება შეიძლება მოიცავდეს, თუმცა შეზღუდვის გარეშე, განმეორებადი სიტყვების წაშლას, გამოტოვებული ასოების ჩამატებას და/ან პუნქტუაციური ნიშნების გამოყენებას. უფლებას ვიტოვებთ ასეთი ცვლილებების გაკეთებაზე თქვენთან კონსულტაციის ან შეტყობინების გარეშე.

5. გარანტიაზე უარი

5.1. ვებ-გვერდი უპირველესად გამიზნულია მომხმარებლებზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს უძრავი ქონების ან უძრავი ქონების ბაზრებში ინვესტიციასა თუ მომსახურების მიღებაზე. ამგვარად, აქ რეკლამირებული რიგი უძრავი ქონების პროდუქტები და მომსახურება შესაძლოა არ იქნას ხელმისაწვდომი საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული კერძო კლიენტებისთვის ან შეუსაბამო აღმოჩნდეს საგადასახადო ან სხვა მიზნებისთვის. უძრავი ქონების კონტენტსა და ხასიათზე და/ან სხვა რეკლამასა და/ან განცხადებაზე დაქვემდებარებით, პერიოდულად აღნიშნულ ვებ-გვერდზე შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი სავაჭრო რჩევა ან გარანტია, კონკრეტულ მიზანზე ხელმისაწვდომი ვარიანტი ან კონფიდენციალურობის დაცვა. უფრო მეტიც, ვებ-გვერდის უშეცდომო, უვირუსო ან შეუზღუდავ მუშაობაზე არ გაიცემა გარანტია. ნებისმიერი დათარიღებული ინფორმაცია გამოქვეყნდება მხოლოდ კონკრეტულ დღეს, ხოლო თარიღის მიუთითებლობის შემთხვევაში, პირველად განთავსების დღეს. ასეთი ინფორმაცია შესაძლოა არასაიმედო გამოდგეს მომდევნო საბაზრო ან ეკონომიკური გარემოებების მიზეზით. არც ჩვენ, არც Polymath Group-თან დაკავშირებული არც ერთი კომპანია არ არის ვალდებული განაახლოს ინფორმაცია ან გააგრძელოს ინფორმაციას შემოთავაზება.

5.2. ჩვენ (I) არ ვიძლევიტ გარანტიის ინფორმაციის სიზუსტეზე, დროულობაზე, შესაბამისობაზე ან სწორ თანმიმდევრობაზე, ან (II) ინფორმაციის გამოყენებიდან მიღებულ შედეგებზე. შესაბამისად, არც ერთ შემთხვევაში, ჩვენი რწმუნებულები, დირექტორები, თანამდებობის პირები და თანამშრომლები, „პოლიმათ გრუფთან“ დაკავშირებული ან აფილირებული კომპანიები, მათი რწმუნებულები, დირექტორები, თანამდებობის პირები და თანამშრომლები ან ინფორმაციის გადამცემი სხვა პირები პასუხს არ აგებენ ნებისმიერი ტიპის სპეციალურ, შემთხვევით, პირდაპირ, ირიბ ან შედეგობრივ ზიანზე ან მონაცემების ან მოგების დანაკარგის შედეგად მიყენებულ ზარალზე ან ზიანის მიღების შესაძლებლობაზე რჩევის არ მიუცემლობაზე და ვებ-გვერდის გამოყენების ან ხელმიუწვდომლობის შედეგად გამომდინარე რაიმე ვალდებულების შესაძლო არსებობაზე, ვებ-გვერდზე განთავსებული ან ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზუსტობაზე; ან ვებ-გვერდზე განთავსებული ან ხელმისაწვდომი ინფორმაციასთან დაკავშირებულ შედეგზე.

6. კანონმდებლობის დაცვა

6.1. ჩვენი შემოთავაზებული მომსახურება ძირითადად მიმართულია ვებ-გვერდით დამყარებული კავშირის შექმნაზე სხვადასხვა საბაზრო მოთამაშეებს შორის უძრავი

ქონების ბიზნესში. ასეთი მომსახურება უპირველესად გამიზნულია საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში გამოყენებაზე და შესაძლოა არ იყოს კანონიერი ან აკრძალულ იქნას სხვა იურისდიქციებში. თქვენ გესმით და თანახმა ხართ, რომ კომპანიას არ შეუძლია მოგცეთ რაიმე სამართლებრივი რჩევა ან გარანტია თქვენს მიერ მომსახურების გამოყენებაზე და კომპანია არ აკეთებს რაიმე ტიპის განცხადებას თქვენს იურისდიქციაში მომსახურების კანონიერებაზე. გთხოვთ, დაამოწმეთ თქვენი იურისდიქციის შესაბამისი კანონმდებლობა კომპანიის ვებ-გვერდზე დარეგისტრირებამდე და მომსახურების მიღებამდე.

6.2. მომსახურება განკუთვნილია მხოლოდ იმ მომხმარებლებისთვის, რომელთაც რომელიმე მოქმედი იურისდიქციის კანონმდებლობით არ ეკრძალებათ ან ეზღუდებათ მომსახურების მიღება ინტერნეტით. კომპანია არ აპირებს დაგარღვევინოთ მოქმედი კანონი. თქვენ თანხმობას იძლევიტ მასზედ, რომ თქვენს მიერ მომსახურების გამოყენება შესაბამისობაშია ყველა მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციის და დებულების წესებთან. კომპანია პასუხს არ აგებს თქვენს მიერ მომსახურების უკანონოდ ან არავტორიზებულ გამოყენებაზე. გთხოვთ, მიმართოთ იურიდიულ მრჩეველს მოქმედი იურისდიქციის ფარგლებში, თუკი ეჭვი გეპარებათ მომსახურების გამოყენების კანონიერებაზე რომელიმე იურისდიქციის კანონმდებლობის ფარგლებში. წინამდებარე გამოყენების პირობებზე თანხმობით, თქვენ მზად ხართ დაეხმაროთ კომპანიას, თქვენი შესაძლებლობის ფარგლებში, დაიცვას მოქმედი კანონები და რეგულაციები.

7. ნებადართული მონაწილეობა

7.1. უფლებას ვიტოვებთ შევამოწმოთ თქვენი სარეგისტრაციო ინფორმაცია, როგორცაა სახელი და გვარი, მისამართი, ასაკი და გადახდის მეთოდები, ნებისმიერ დროს, გარკვეული ტიპის დოკუმენტების მოთხოვნით. აღნიშნული დოკუმენტები როგორც წესი. მოიცავს პირადობის მოწმობას, მისამართის დამადასტურებელ დოკუმენტს, როგორცაა კომუნალური გადახდის ქვითარი და თქვენი გადახდის მეთოდის დამადასტურებელ საბუთს. აღნიშნული მასალა შეგიძლიათ ჩვენთან ატვირთოთ. საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია მოვითხოვოთ აღნიშნული დოკუმენტის ასლების სანოტარო წესით დამოწმება, რაც გულისხმობს დოკუმენტებზე ბეჭდის დასმას და დამოწმებას ნოტარიუსის მიერ. იმ შემთხვევაში, თუკი წევრი არ შეასრულებს დოკუმენტებთან დაკავშირებულ მოხოვნას, კომპანიას შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ გააუქმოს ანგარიში და შეაჩეროს მიმდინარე არსებული ბალანსი. იმ შემთხვევაში, თუკი დოკუმენტები ვერ გაივლიან ჩვენი შიდა უსაფრთხოების შემოწმებას - მაგალითად, თუკი ვიქცვებთ მათში დარღვევებს, აღმოვაჩინებ შეცდომებს ან ცრუ ფაქტებს - ვალდებული არ ვიქნებით დავეთანხმოთ ასეთი დოკუმენტების ვალიდურობას.

7.2. წინამდებარეთი უშუალოდ გამოთქვამთ თანხმობას, რომ კომპანია ასრულებს ნებისმიერ მომხმარებელზე ბიოგრაფიული მონაცემების შემოწმებას, ნებისმიერი

მიზეზით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მომხმარებლის იდენტობის გამოძიებას, მომხმარებელზე ნებისმიერი საკრედიტო შემოწმებას ან მოხმარებლის პერსონალური ინფორმაციის გამოძიებას. ასეთი გამოძიების საფუძველი დამოკიდებული იქნება კონკრეტულ შემთხვევაზე, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს, შეზღუდვის გარეშე, მომხმარებლის სარეგისტრაციო ინფორმაციის ვერიფიკაციას, როგორცაა სახელი და გვარი, მისამართი და ასაკი, მომხმარებლის ფინანსური ტრანზაქციების ვერიფიკაციას და მომხმარებლის საქმიანობის ვერიფიკაციას. კომპანია ვალდებული არ არის რჩევა მისცეს მომხმარებელს ასეთი გამოძიების წამოწყებასთან მიმართებაში. ასეთი საქმიანობები შესაძლოა მოიცავდეს მესამე პირი კომპანიების გამოყენებას, რომლებიც აწარმოებენ საჭირო გამოძიებებს. კომპანიას საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ შეუძლია დაბლოკოს ან დროებით გააუქმოს ასეთი მომხმარებლის ანგარიში, დააკავოს არსებული ბალანსი, ასეთი გამოძიების საფუძველზე.

7.3. როგორც საბოლოო მომხმარებელი, თქვენ წინამდებარით თანხმობას გამოთქვამთ მასზედ, რომ ფლობთ ინფორმაციას კომპანიის კომპლექსური შემოწმების ზომებზე, რაც შესაძლოა შეეხებოდეს თქვენ, თუკი კომპანია იეჭვებს, რომ რომელიმე საექვო კლიენტის საქმიანობა მოითხოვს შემდგომ გამოძიებას, თქვენ თანხმობას უცხადებთ კომპანიას წვდომა ჰქონდეს, შეამოწმოს და დაამუშავოს თქვენი პერსონალური ინფორმაცია მომსახურების პირობებიდან და [კონფიდენციალურობის პოლიტიკიდან](#) გამომდინარე მოთხოვნებზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში, თუკი არ დაიცავთ კომპანიის დადგენილ მოთხოვნებს, კომპანია უფლებას იტოვებს შეწყვიტოს ან გააუქმოს თქვენთან საქმიანი ურთიერთობა, აგვიკრძალოთ ტრანზაქციების შესრულება ონლაინ-საფულის ანგარიშის გამოყენებით.

8. ინტელექტუალური ქონების უფლებები

8.1. ვებ-გვერდის დიზაინი, ტექსტი, გრაფიკა, მუსიკა, ხმა, ფოტოსურათები, ვიდეო, კადრები და განლაგება, პროგრამული უზრუნველყოფის ნაკრები, ძირითადი პროგრამული კოდი, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა მასალა წარმოადგენს მომსახურების ნაწილს და ექვემდებარება საავტორო უფლებებს და სხვა ინტელექტუალურ უფლებებს, რომლებსაც ვფლობთ ჩვენ ან ვიყენებთ უფლებების მფლობელი მესამე მხარის ლიცენზიის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელია მომსახურების ფარგლებში რაიმე მასალის გადმოწერა ან ბეჭდვა, მაშინ ასეთი მასალის გადმოწერა შესაძლებელია მხოლოდ ერთ აპარატზე (და შესაძლებელია წერილობით ფორმაში ბეჭდვა) და მხოლოდ თქვენი პერსონალური, არაკომერციული გამოყენებისთვის.

8.2. არავით შემთხვევაში არ უნდა მოხდეს თქვენთვის მონიჭებული მომსახურების გამოყენება ჩვენს ან ნებისმიერი მესამე მხარის მფლობელობაში არსებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ხელსაყოფად (მაგალითად, საავტორო უფლება, ნოუ-ჰაუ ან სავაჭრო ნიშნები), პერსონალური, არაექსკლუზიური,

არაქველიცენზირებას დაქვემდებარებული ლიცენზიის გამოყენების გარდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენებასთან მიმართებაში გამოყენების პირობების მიხედვით მომსახურების პერსონალურ, არაკომერციულ გამოყენებასთან დაკავშირებით.

8.3. დაუშვებელია რომელიმე უფლების გამოყენება ან რომელიმე სავაჭრო ნიშნის ან ლოგოს რეპროდუქცია, რომელიც ჩნდება ვებ-გვერდზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაშვებულია გამოყენების უფლებების ფარგლებში.

8.4. თქვენ არ უნდა გადაიღოთ, შეინახოთ, გამოაქვეყნოთ, გააქირავოთ, ლიცენზია გასცეთ, გაყიდოთ, გაავრცელოთ, შეცვალოთ, დაამატოთ, წაშალოთ ან გააყალბოთ, არც სხვა პირს უნდა მისცეთ საშუალება, ვებ-გვერდზე ან ნებისმიერ მის ნაწილში, ნებისმიერი საშუალებით, უშუალოდ ან ირიბად, გაანადგუროთ ან შეზღუდოთ (ან შეეცადოთ განადგურებას ან შეზღუდვას) ან შეცვალოთ ვებ-გვერდი, გამოყენების პირობების შესაბამისად ვებ-გვერდის დათვალიერების ან გამოყენების გარდა.

8.5. Area.ge-ის სახელზე არსებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, კომპანიის ლოგოები, დიზაინი, სავაჭრო ნიშნები და ბრენდის სხვა განმსახვავებელი მახასიათებლები და კომპანიის უზრუნველყოფილი ნებისმიერი კონტენტი ან ნებისმიერი მესამე მხარე ვებ-გვერდზე ჩასართავად ვრცელდება კომპანიაში ან მოქმედ მესამე მხარეებზე. თქვენ თანხმობას გამოთქვამთ, რომ არ აჩვენებთ ან გამოიყენებთ ასეთ ლოგოებს, დიზაინს, სავაჭრო ნიშნებს და ბრენდის სხვა განმსახვავებელ მახასიათებლებს, ნებისმიერი საშუალებით, ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

8.6. ვებ-გვერდის სრული 2019 წლის კონტენტის საავტორო უფლებები დაცულია „სს პოლიმათ გრუფის“ მიერ და განთავსებული ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ თქვენი პერსონალური გამოყენებისთვის. ვებ-გვერდის კონტენტის ნახვის, გადაღების, ბეჭდვის ან გავრცელების ნებართვა ექვემდებარება მომდევნო პირობებს: (ა) კონტენტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ არაკომერციული, ინფორმაციული მიზნებისთვის; (ბ) კონტენტის ან მისი რომელიმე ნაწილის ნებისმიერი ასლი უნდა მოიცავდეს აღნიშნული საავტორო უფლებების შესახებ შეტყობინებას; (გ) ვებ-გვერდზე აღწერილი ნებისმიერი პროდუქტი, პროცესი ან ტექნოლოგია შეიძლება დაექვემდებაროს „სს პოლიმათ გრუფის“ დაცულ სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს და აქ მათზე ლიცენზია არ გაცემულა. ხსენებული პროდუქტები და მომსახურება შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი ყველა ქვეყანაში. წინამდებარე ვებ-გვერდზე შეტანილ საავტორო ნამუშევრებს, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, დიზაინი, ტექსტი, ხმოვანი ჩანაწერები და სურათები, ფლობს სს პოლიმათ გრუფი, თუკი სხვაგვარად არ იქნება გაცხადებული, ან „პოლიმათ გრუფთან“ დაკავშირებული ან აფილირებული კომპანიები. ვებ-გვერდის კონტენტის ნებისმიერი რეპროდუქცია, განცხადება, გავრცელება ან ხელახლა-გავრცელება, სრულად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის, ქეშირება, შექმნა), გაყიდვასთან, გადაყიდვა, განმეორებითი გადაცემა ან მესამე მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა აკრძალულია. აღნიშნული აკრძალვების დაუცველობა წარმოადგენს

დარღვევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამრღვევის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

8.7. სავაჭრო ნიშანი - Area.ge - რეგისტრაციის პროცესშია „სს პოლიმათ გრუფის“ მიერ საქართველოში და სხვა ქვეყნებში. წინამდებარე დოკუმენტში მითითებული დასახელებები, სავაჭრო ნიშნები და სუბიექტების ლოგოები წარმოადგენს შესაბამისი მფლობელების მომსახურებას/სავაჭრო ნიშნებს.

9. თქვენი განცხადებები და ვალდებულებები

9.1. თქვენთვის მონიჭებული უფლებების გათვალისწინებით მომსახურების გამოსაყენებლად, თქვენ აცხადებთ, გარანტიას იძლევიან და თანახმა ხართ რომ:

9.1.1.1. როგორც საბოლოო მომხმარებელი, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სამართლებრივად გაქვთ უფლება პასუხისმგებლობა აიღოთ თქვენს ქმედებებზე აღნიშნული „მომხმარებლის ხელშეკრულების“ დადებამდე.

9.1.1.2. კომპანიისთვის თქვენს მიერ მიწოდებული და წარდგენილი ინფორმაცია, როგორც რეგისტრაციის პროცესში, ისე შემდგომში, მათ შორის, გადახდის ტრანზაქციების სისწორე, ნამდვილობა, სისრულე და სინამდვილე და მომხმარებლის ანგარიშის კრიპტო-ტრანზაქციების ავთენტიურობა, ვალიდურობა და სიზუსტე თქვენს პასუხისმგებლობის ფარგლებშია.

9.1.1.3. როგორც საბოლოო მომხმარებელს, კომპანიაში თქვენი ანგარიში მხოლოდ თქვენს სასარგებლოდ გამოიყენება. არავის არ უნდა მისცეთ ნებართვა (მათ შორის, ნათესავს) გამოიყენოს თქვენი ანგარიში, იდენტობა ან პაროლი მომსახურებაზე წვდომისთვის ან გამოსაყენებლად და სრულად ხართ პასუხისმგებელი მესამე მხარის მიერ ანგარიშზე რაიმე ტიპის ქმედების წამოსაწყებად. თქვენ არ გაუმხელთ ანგარიშის დასახელებას ან პაროლს სხვა პირს და უნდა უზრუნველყოთ ასეთი ინფორმაციის გაუმხელობა ნებისმიერი პირის მიერ. დაუყოვნებლივ უნდა შეგვატყობინოთ, თუკი იეჭვებთ მესამე მხარის მიერ თქვენი ანგარიშის გამოყენების თაობაზე და/ან მესამე მხარის მიერ თქვენი ანგარიშის სახელსა თუ პაროლზე წვდომის შესახებ, ამგვარად ჩვენ შევძლებთ გამოვიძიოთ აღნიშნული პრობლემა და სათანადოდ ვითანამშრომლოთ თქვენთან, ასეთი გამოძიების შემთხვევაში.

9.1.1.4. როგორც საბოლოო მომხმარებელს, პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენი მომხმარებლის სახელის და პაროლის უსაფრთხოებაზე თქვენს კომპიუტერსა და ნებისმიერ სხვა აპარატზე, რითაც გაქვთ ან შესაძლოა გქონდეთ წვდომა ვებ-გვერდზე, მათ შორის მოისაზრება ინტერნეტზე წვდომის ლოკაცია. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი კომპიუტერიდან „გატეხავენ“ მომხმარებლის სახელის კომბინაციას, რაიმე ვირუსის ან ვირუსული პროგრამის საფუძველზე, აღნიშნული თქვენს პასუხისმგებლობას ეკისრება.

თქვენ დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოთ კომპანიას თქვენი ანგარიშის ნებისმიერი შესაძლო გატეხვის მცდელობაზე ან უსაფრთხოების დარღვევაზე.

9.1.1.5. როგორც საბოლოო მომხმარებელს, თქვენ დადასტურებული და განსაზღვრული გაქვთ, რომ თქვენს მიერ მომსახურების გამოყენება არ არღვევს რომელიმე იურისდიქციის კანონმდებლობას ან რეგულაციას. თქვენ სრულად გესმით მომსახურების მეთოდები, წესები და პროცედურები და ზოგადად ინტერნეტი. თქვენ გესმით, რომ თქვენი პირადი პასუხისმგებლობაა ფსონებისა და თამაშების ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველყოფა. თქვენ არ ჩაიდენთ რაიმე ქმედებას, რაც დააზიანებს კომპანიის რეპუტაციას.

9.1.1.6. როგორც საბოლოო მომხმარებელმა, თქვენთვის ცნობილია ჩვენი მომსახურების საშუალებით თანხის დაკარგვის რისკი და სრულად ხართ პასუხისმგებელი ასეთ ზიანზე. თანახმა ხართ, რომ მომსახურების გამოყენება თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და რისკია. ნებისმიერ დანაკარგთან დაკავშირებით, არ უნდა გქონდეთ რაიმე პრეტენზია კომპანიის ან კომპანიის ჯგუფის ან მათი შესაბამისი დირექტორების, თანამდებობის პირების, თანამშრომლების, მომსახურების პროვაიდერების, აგენტების ან ნებისმიერი აფილირებულის მიმართ.

9.1.1.7. როგორც საბოლოო მომხმარებელი, აცნობიერებთ რომ რეგისტრაციით და მომსახურების გამოყენებით, თქვენ უნდა მიაწოდოთ კომპანიას თქვენს შესახებ ზუსტი პერსონალური ინფორმაცია. კომპანია გამოიყენებს თქვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას კეთილსინდისიერად და არ გაუმჟღავნებს ინფორმაციას მესამე მხარეებს, [კონფიდენციალურობის პოლიტიკით](#) გათვალისწინებული პირობების გარდა. გირჩევთ წაიკითხოთ [კონფიდენციალურობის პოლიტიკა](#) იმაში დასარწმუნებლად, რომ თქვენ ეთანხმებით თქვენი ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებულ ჩვენულ პოლიტიკას.

9.1.1.8. როგორც საბოლოო მომხმარებელი, თქვენ თანახმა ხართ გამოიყენოთ ვებ-გვერდი და მომსახურება ხელშეკრულების პირობების და ნებისმიერი დამატებითი წესის შესაბამისად, რაც პერიოდულად შეიცვლება, უნდა დაიცვათ თამაშების სათამაშო ის წესები და რეკომენდაციები, რომელიც მოიცავს მომსახურებას.

9.1.1.9. თქვენ პირადად აგებთ პასუხს გადასახადებზე და საგადასახადო გამჭვირვალობაზე ნებისმიერი სახელმწიფო საგადასახადოს ან ნებისმიერი სხვა ორგანოს წინაშე მოგებულ თანხასთან დაკავშირებით, რომელსაც კომპანია ან ნებისმიერი სხვა დაკავშირებული ან აფილირებული ორგანიზაცია გადაგიხდით, ადგილობრივ, სახელმწიფო და/ან ფედერალურ მოქმედ საგადასახადო რეგულაციებზე დაქვემდებარებით.

9.1.1.10. როგორც საბოლოო მომხმარებელმა, მომსახურება უნდა გამოიყენოთ კეთილსინდისიერად, როგორც კომპანიის, ისე მომსახურებით მოსარგებლე სხვა მომხმარებლების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია ჩათვლის, რომ მომსახურება გამოიყენეთ ნებისმიერი მოქმედი კანონის დარღვევით და/ან მიაყენეთ პირდაპირი ან

ირიბი ზიანი ან ზარალი კომპანიას ან მომსახურების ნებისმიერ მომხმარებელს, კომპანიას უფლება აქვს, ნებისმიერ მოქმედ კანონზე დაქვემდებარებით, გააუქმოს თქვენი ანგარიში და ნებისმიერი სხვა ანგარიში, რასაც შეიძლება ფლობდეს კომპანია და კომპანია უფლებას იტოვებს დააკავოს ანგარიშზე დარჩენილი თანხა. წინამდებარით უშუალოდ უარს აცხადებთ კომპანიისადმი მომავალში აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზიების გამოთქმაზე, ნებისმიერ მოქმედ კანონზე დაქვემდებარებით.

9.2. წინამდებარით კომპანიას თანხმობას უცხადებთ შეამოწმოს და ჩაინიშნოს თქვენი პერსონალური და/ან არაპერსონალური ინფორმაცია, დადგენილი კონფიდენციალურ პოლიტიკაში, ნებისმიერ დროს, წინამდებარე მუხლის ძალაში მოსაყვანად და თქვენ არ უნდა გქონდეთ ამ მხრივ კომპანიის მიმართ რაიმე პრეტენზია.

10. ვებ-გვერდის და მომსახურების აკრძალული გამოყენება

10.1. უკანონო ფულადი საშუალებები და უკანონო საქმიანობა

10.1.1. როგორც საბოლოო მომხმარებელი, თქვენ აცხადებთ, რომ თქვენს მიერ გამოყენებული ფულადი საშუალებების წყარო ან თქვენი რეკლამირებული ან რეგისტრირებული საკუთრება ან მომსახურება, ვებ-გვერდზე რაიმე ტიპის ტრანზაქციისთვის, არ არის უკანონო. თქვენ ბოროტად არ გამოიყენებთ მომსახურებას, არ ჩაიდენთ უკანონო ან თაღლითურ ქმედებას ან აკრძალულ გარიგებას (მათ შორის, ფულის გათეთრება).

10.1.2. იმ შემთხვევაში, თუკი კომპანიას ეჭვი აქვს, რომ თქვენ ჩართული ხართ რაიმე თაღლითურ, უკანონო ან არასათანადო საქმიანობაში, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ფულის გათეთრების საქმიანობა ან თაღლითური განცხადებები ან რომელიმე გამოყენებულ მომსახურებასთან დაკავშირებული არასწორი ფაქტები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-გვერდის საშუალებით რომელიმე საკუთრების ან რეკლამირებული თუ რეგისტრირებული მომსახურების საქმიანობასთან დაკავშირებით, ამ ხელშეკრულების დარღვევით, თქვენი წვდომა მომსახურებაზე შეიძლება დაუყოვნებლივ გაუქმდეს და/ან თქვენი ანგარიში დაიბლოკოს, ამ შემთხვევაში, კომპანია ვალდებულებას არ იღებს ანაზღაუროს რაიმე ფულადი რესურსი, არსებული თქვენს ანგარიშზე.

10.2. კანონისთვის თავის არიდება

10.2.1. ჩვენ შეგვიძლია შევიმუშავოთ და გამოვიყენოთ დახვეწილი კერძო ტექნოლოგია, რომელიც განკუთვნილი იქნება იმ მომხმარებლების მოსაძიებლად და გამოსავლენად, რომლებიც თაღლითურად ან უკანონოდ გამოიყენებენ მომსახურებას. თქვენ არ უნდა დაარღვიოთ ან შეეცადოთ დაარღვიოთ ან სხვაგვარად აარიდოთ თავი კომპანიის უსაფრთხოების ზომებს.

10.2.2. თუკი კომპანიას სჯერა, რომ თქვენ დაარღვიეთ აღნიშნული მუხლი, კომპანიას შეუძლია დაუყოვნებლივ გააუქმოს თქვენი წვდომა მომსახურებაზე და დაბლოკოს ან გააუქმოს თქვენი ანგარიში, უკანონო გამოძიება და/ან შეატყობინოს საეჭვო საქმიანობის

შესახებ შესაბამის ორგანოებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თქვენი ანგარიშების დახურვა და აგეკრძალვით მომავალში მომსახურების გამოყენება, ამ შემთხვევაში კომპანია არ არის ვალდებული აანაზღაუროს თქვენს ანგარიშზე დარჩენილი ფულადი საშუალებები.

10.3. ხელოვნური ინტელექტი

10.3.1. ავტომატიზირებული საშუალების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს თანხების დადებაში მხარდაჭერას ან რაიმე გზით უკავშირდება თქვენს მიერ მომსახურების გამოყენებას, მკაცრად იკრძალება. მაშასადამე, პროგრამული უზრუნველყოფის, გარე აპარატების, პროგრამების ან აპლიკაციების გამოყენება მკაცრად იკრძალება. თქვენ არ გაქვთ უფლება გამოიყენოთ რაიმე პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ჩვენი შეხედულებით აღჭურვილია ხელოვნური ინტელექტით (ასევე მოიხსენიება როგორც AI პროგრამული უზრუნველყოფა) თქვენს მიერ მომსახურების გამოყენებასთან მიმართებაში.

10.3.2. ჩვენ ვაანალიზებთ მომსახურების გამოყენებას ყოველდღიურად AI პროგრამული უზრუნველყოფის გამოსავლენად. იმ შემთხვევაში, თუკი დავრწმუნდებით მის გამოყენებაში, კომპანია უფლებას იტოვებს მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის, დაუყოვნებლივ დაუბლოკოს წვდომა მომსახურებაზე დამნაშავე მომხმარებელს და გააუქმოს ამგვარი მომხმარებლის ანგარიში, ამ შემთხვევაში, კომპანიას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ანაზღაუროს ანგარიშზე დარჩენილი ფულადი რესურსი.

11. შეთავაზების არარსებობა

11.1. ვებ-გვერდზე მოცემული არც ერთი დებულება არ უნდა იქნას ჩათვლილი შეთავაზებად შუამდგომლობაზე, რეკომენდაციად, ინვესტიციის მიღებად ან განკარგვად ან რაიმე ტიპის გარიგებაში ჩართვად ან რაიმე საინვესტიციო რჩევის ან მომსახურების უზრუნველყოფად. ვებ-გვერდზე შეტანილი არანაირი დებულება არ წარმოადგენს საინვესტიციო, იურიდიულ, საგადასახადო ან სხვა რჩევას და მოისაზრება ინვესტიციის გაკეთებად ან სხვა გადაწყვეტილებად. შემდგომში, არც ჩვენ, არც „პოლიმათ გრუფის“ ჯგუფთან დაკავშირებული ან აფილირებული კომპანია არ შეაფასებს თქვენთვის რაიმე კონკრეტული ინვესტიციის შესაბამისობას ან რომელიმე ინვესტორს. ჩვენ (მათ შორის, ჩვენ და პოლიმათ გრუფის ჯგუფი, დაკავშირებული ან აფილირებული კომპანიები) არ ვაფასებთ რაიმე კონკრეტული ინვესტიციის პოტენციურ ღრებულებას ან საინფორმაციო წყაროსთან შესაბამისობას. თქვენ უნდა მიიღოთ რელევანტური და სპეციფიკური პროფესიონალური რჩევა ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე.

12. მესამე მხარის პროდუქცია და სერვისები

12.1. ჩვენი ვებ-გვერდის მომსახურება მოიცავს თქვენს დაკავშირებას მესამე მხარეებთან, რომლებსაც შეუძლიათ უძრავი ქონების ან მომსახურების შემოთავაზება. ჩვენ არ ვიღებთ არანაირ ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას ნამდვილობაზე ან გაყიდვისუნარიანობაზე ან სხვა იურიდიული ან საკუთრების სტატუსის ნამდვილობაზე, ან პროდუქციის ან მომსახურების რაიმე მახასიათებლებზე, რომელიც შემოთავაზებულია თქვენთვის. იქ სადაც გთავაზობთ მესამე მხარის პროდუქციასა და მომსახურებაზე წვდომას, ან ჰიპერბმულებს ვებგვერდებზე, ამას ვაკეთებთ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ინფორმაცია ან საკითხები შეიძლება გამოსადეგი იყოს ჩვენი ვებ-გვერდის მომხმარებელთათვის. ასეთი ბმულები არ წარმოადგენს მესამე მხარის მიერ ამ ვებ-გვერდზე განთავსებული მოსაზრებების, იდეების, პროდუქტების, ინფორმაციის ან სერვისების დადასტურებას ან პასუხისმგებლობას, ან რაიმე სხვა ვებ-გვერდებზე, რომლებიც დაკავშირებულია და ჩვენ პირდაპირ/აშკარად ვაცხადებთ ასეთი მოწონების ან წარმომადგენლობის შესახებ. თქვენ იყენებთ მესამე მხარის ინფორმაციას ან /და ბმულს თქვენი რისკით და ჩვენ არ ვიღებთ (ვადასტურებთ) პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას ამ მესამე მხარის ინფორმაციის ან / და საიტების შინაარსის, გამოყენების ან ხელმისაწვდომობის შესახებ. ჩვენ არ ვადასტურებთ ასეთი მესამე მხარის მონაცემებს ან ინფორმაციის შინაარსს ან სიზუსტეს და არც იმის გარანტიას ვიძლევი, რომ ასეთი შინაარსი თავისუფალია საავტორო, სასაქონლო ნიშნის ან მესამე მხარის სხვა უფლებების დარღვევისაგან ან ასეთი მონაცემების შინაარსი თავისუფალია ვირუსების ან სხვა მავნებლობისგან. შესაბამისად, ჩვენ არ ვიძლევი არავითარ გარანტიას ან წარმომადგენლობას და არ გვეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი მესამე მხარის მიერ მოწოდებული ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის შესახებ (მის შინაარსზე), მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ელექტრონული შინაარსის სიზუსტის, საგნის, ხარისხის ან დროულობის თაობაზე.

12.2. გარდა ამისა, ნებისმიერი მესამე მხარის ვებ-გვერდებს შეიძლება ჰქონდეს ამ ვებ-გვერდისგან განსხვავებული ფორმით [კონფიდენციალურობის პოლიტიკა](#) ან უსაფრთხოების წესები, ამიტომ მნიშვნელოვანია მომხმარებელმა წაიკითხოს იმ გვერდის პოლიტიკა პირადი ინფორმაციის გასაჯაროვებამდე.

12.3. არც ერთ მესამე მხარეს არ გააჩნია უფლება დასაკავშირებლად გამოიყენოს ვებ-გვერდის ბმული ვებ-გვერდის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

13. თქვენი ანგარიში

13.1. თქვენი ანგარიში არის მხოლოდ თქვენი პერსონალური მოხმარებისთვის და არ უნდა იქნას გამოყენებული რაიმე პროფესიული, ბიზნეს ან კომერციული მიზნებისთვის.

13.2. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას თქვენი ანგარიშის ხელმისაწვდომობაზე მესამე პირებისთვის და კომპანია არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს არანაირ დანაკარგზე, რომელიც წარმოგეშვებათ მესამე პირის მიერ თქვენი პაროლის გამოყენებით ან თქვენს ანგარიშზე რაიმე არასანქცირებული წვდომით და ნებისმიერ ტრანზაქცია, სადაც თქვენი სახელი და პაროლი სწორად იქნება შეყვანილი, ჩაითვლება ნამდვილად, მიუხედავად იმისა, იყო თქვენს მიერ სანქცირებული თუ არა.

13.3. თუ თქვენ უწყვეტად 24 თვის განმავლობაში არ შესულხართ თქვენს ანგარიშზე, თქვენი ანგარიში ჩაითვლება „არააქტიურ ანგარიშად“. ჩვენ შესაძლოა ამოვიღოთ ნებისმიერი განაღდებადი ბალანსი არააქტიური ანგარიშიდან. არააქტიური ანგარიშიდან ბალანსის გადარიცხვამდე, ჩვენ გონივრულ ძალისხმევას გამოვიჩენთ, რათა მოგაწოდოთ შეტყობინება თქვენს მიერ ჩვენთვის მოწოდებული, უკანასკნელი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით.

13.4. ვებ-გვერდზე რამდენიმე ანგარიშის გახსნა ჩაითვლება საბოლოო მომხმარებლის მიერ ბოროტად სარგებლობად და აღნიშნული ანგარიშები იქნება დაბლოკილი, მიუხედავად ანგარიშზე არსებული ბალანსისა. კომპანიას არ დაეკისრება ვალდებულება დაგიბრუნოთ აღნიშნულ ანგარიშებზე დარჩენილი რაიმე ბონუს თანხა ან მოგება.

13.5. თუკი თქვენ აღარ გასურთ საწევრო ანგარიშის ქონა ჩვენს ვებგვერდზე, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ support@area.ge-ზე. მხარდამჭერთა გუნდი თქვენს მოთხოვნას ანგარიშის გაუქმების შესახებ განიხილავს და შეგატყობინებთ გადაწყვეტილებას, თქვენს მიერ მოწოდებულ უკანასკნელ საკონტაქტო ინფორმაციაზე, 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

14. სარეკლამო აქციები

14.1. ინფორმაცია სარეკლამო აქციებთან, ბონუსებთან ან სხვა განსაკუთრებულ შეთავაზებებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. თქვენს ანგარიშზე ჩარიცხული ნებისმიერი ბონუსი უნდა იქნას გამოყენებული წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას

გამოვიხმოთ ყოველგვარი სარეკლამო აქცია, ბონუსი და განსაკუთრებული შემოთავაზება ნებისმიერ დროს.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია თვლის, რომ საბოლოო მომხმარებელი ბოროტად იყენებს ან ცდილობს ბოროტად გამოიყენოს ბონუსი ან სხვა სარეკლამო აქცია, ან შეიძლება მიიღოს მოგება ასეთი ბოროტად გამოყენებით, კომპანიას შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, გამოითხოვოს, უარი უთხრას ან დაუკავოს ნებისმიერ მომხმარებელს ნებისმიერი ბონუსი ან სარეკლამო შეთავაზება, ან დროებით ან სამუდამოდ გაუუქმოს მომხმარებელს მომსახურებასთან წვდომა.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია, თავისი შეხედულებისამებრ თვლის, რომ თქვენ კომპანიის ბონუსებს იყენებთ არაკეთილსინდისიერად ან რაიმე არაკეთილსინდისიერ ქმედებას ახორციელებთ ვებ-გვერდზე შემოთავაზებული ბონუს სარეკლამო აქციებთან მიმართებაში, კომპანია უფლებამოსილია დაბლოკოს ან გააუქმოს თქვენი ანგარიში და ამ შემთხვევაში, კომპანიას არ დაეკისრება ვალდებულება აგინაზღაუროთ ბონუს თანხა ან მოგება, რომელიც დაბლოკვის მომენტში დარჩა თქვენს ანგარიშზე.

14.4. თუ ჩვენ გაგვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ანგარიში ან ანგარიშების ერთობლიობა მოქმედებს სისტემატიურად - მაგალითად შემუშავებული აქვს გარკვეული თანხების ჩამოსვლის ტექნიკა ან ჯგუფურად ახორციელებს თანხების ჩამოსვლას, კომპანია უფლებამოსილია დაბლოკოს ან გააუქმოს ყველა ანგარიში და ასეთ შემთხვევაში, კომპანიას არ დაეკისრება ვალდებულება აგინაზღაუროთ ანგარიშზე დარჩენილი ნებისმიერი თანხა.

15. კომპანიის ვალდებულებები

15.1. კომპანია არ არის ვალდებული შეამოწმოს პერიოდულად განახლებული მომსახურების გამოყენება მომხმარებლების მიერ „მომხმარებლის ხელშეკრულების“ შესაბამისად.

15.2. კომპანია არც ერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული გამოიძიოს ან შეისწავლოს მომხმარებლის საჩივარი მომსახურების სხვა მომხმარებლის მიმართ ან მიმართოს რაიმე ზომებს, ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, სამომხმარებლო შეთანხმების პირობების დარღვევისთვის. კომპანია უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით მიმართოს ნებისმიერ შესაბამის ზომას ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, რომელიც, კომპანიის ეჭვით, ახორციელებს უკანონო საქმიანობას ან სხვა ფორმით არღვევს სამომხმარებლო შეთანხმებას, მაგრამ კომპანიას ასეთი ვალდებულება არ ეკისრება.

15.3. კომპანია ამუშავებს თქვენს მიერ მოწოდებულ პერსონალურ ინფორმაციას თქვენთან დადებული [კონფიდენციალურობის პოლიტიკის](#) მკაცრი დაცვით.

16. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავები

16.1. თუ თქვენ გაქვთ პრეტენზია გამოყენებულ მომსახურებასთან დაკავშირებით, კომპანიის მხარდამჭერთა ჯგუფი განიხილავს თქვენს პრეტენზიას და გამცნობთ მიღებულ გადაწყვეტილებას თქვენს მიერ პრეტენზიის ან საჩივრის მოწოდებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში.. თუ თქვენ არ ეთანხმებით კომპანიის გადაწყვეტილებას, უნდა დაუკავშირდეთ მხარდაჭერის მენეჯერს კომპანიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის და მიაწოდოთ კომპანიას თქვენს საჩივართან დაკავშირებული ყველა შესაბამისი მტკიცებულება სწრაფად და სრულად.

16.2. მხარდაჭერის მენეჯერი ხელახლა შეისწავლის თქვენს პრეტენზიას ან დავას და მოგაწვდით კომპანიის საბოლოო და მბოჭველ გადაწყვეტილებას 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

16.3. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ამოწურეთ საჩივრის მოგვარების ყველა გონივრული საშუალება, რომელიც შეიძლება გქონოდათ მომსახურებასთან დაკავშირებით, წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოში ცხოვრებისა თუ საქმიანობის მიუხედავად. თქვენ თანხმობას გამოთქვამთ, რომ საქართველოს სასამართლოს აქვს ექსკლუზიური იურისდიქცია განიხილოს და გადაწყვიტოს ნებისმიერ საკითხი და დავა, დაკავშირებული წინამდებარე ვებ-გვერდთან ან ხელშეკრულებასთან.

16.4. წინამდებარე ვებ-გვერდი არ არის მიმართული ან გამიზნული სარგებლობისთვის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, ისეთ იურისდიქციის ან ქვეყნის ფარგლებში, სადაც წინამდებარე ვებ-გვერდის გამოქვეყნება ან მისი ხელმისაწვდომობა, გავრცელება ან გამოყენება წინააღმდეგობაში იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან ან რეგულაციებთან. თუ თქვენ გადაწყვეტთ მიიღოთ წვდომა აღნიშნული ვებ-გვერდის ინფორმაციასთან, პასუხისმგებლობა იმაზე, რომ აკმაყოფილებდეთ ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო კანონმდებლობას არის თქვენზე და ასეთ იურისდიქციაში წინამდებარე ვებ-გვერდის გამოყენების შემთხვევაში რისკი მთლიანად თქვენ გვეკისრებათ. თქვენს კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მისაღებად, გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს სამართლებრივ მრჩეველს.

16.5. თუ წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი არის ბათილი ან შესასრულებლად შეუძლებელი, დანარჩენი პუნქტები გააგრძელებენ სრული ძალითა და ეფექტით მოქმედებას. ჩვენ ვიტოვებთ სრულ დისკრეციას, ნებისმიერ დროს და ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე. შევცვალოთ წინამდებარე ხელშეკრულების წესები და პირობები.

17. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

17.1. თქვენ თანხმდებით, რომ თავისუფალი ხარტ არჩევანში ისარგებლოთ თუ არა მომსახურებით და ამას აკეთებთ თქვენი შეხედულებით, დისკრეციითა და რისკით.

17.2. ჩვენ უზრუნველვყოფთ მომსახურების გაწევას შესაბამისი კვალიფიკაციითა და ზრუნვით და წინამდებარე შეთანხმებაში აღწერილი პირობების შესაბამისად. ჩვენ არავითარ სხვა დაპირებასა და გარანტიას არ ვიძლევით მომსახურებასთან ან რაიმე პროდუქტთან ან სერვისთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენს მომსახურების ნაწილს, შესაბამისად, გამოვრიცხავთ (კანონით დადგენილ ფარგლებში) ჩვენს პასუხისმგებლობას აღნიშნულთან დაკავშირებით (მათ შორის, ნაგულისხმევ გარანტიებს, დამაკმაყოფილებელ ხარისხს ან/და თქვენს მიზნებთან შესაბამისობას) კერძოდ, ჩვენ არ

ვიძლევიტ გარანტიას, რომ ვებ-გვერდი ან/და მომსახურება იქნება მუდმივად ხელმისაწვდომი ან არ იქნება პროგრამული შეცდომები, ვირუსები ან სხვა შეცდომები.

17.3. კომპანია არ არის პასუხისმგებელი თქვენს ან ნებისმიერი პირის წინაშე სახელშეკრულებო, გაუფრთხილებელი, დელიქტური ან სხვა სახით, ნებისმიერი დანაკარგისა და ზიანისთვის, რომელიც წარმოიშვა, ან რაიმე ფორმით დაკავშირებული არის, თქვენს ან ნებისმიერ მესამე პირის მიერ მომსახურების გამოყენებასთან, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ზიანი ბიზნესის დაკარგვისთვის, მოგების დაკარგვისთვის (მათ შორის მოსალოდნელი მოგების დაკარგვის ან მიუღებლობისთვის) ბიზნეს საქმიანობის შეწყვეტისთვის, ან სხვა ფულადი ან არსებითი/ნივთობრივი დანაკარგისთვის.

17.4. კომპანია არ არის პასუხისმგებელი თქვენს ან ნებისმიერი პირის წინაშე, სახელშეკრულებო, გაუფრთხილებელი, დელიქტური ან სხვა სახით, დანაკარგისა და ზიანისთვის რომელიც წარმოიშვა, ან რაიმე ფორმით დაკავშირებული არის, თქვენს მიერ საიტზე არსებული ნებისმიერი ბმულის გამოყენებასთან. კომპანია არ არის პასუხისმგებელი ინტერნეტ ვებგვერდის ბმულის შინაარსზე, რომელზეც გადამისამართდებით ვებ-გვერდიდან ან მისი მომსახურებიდან.

17.5. თქვენ ადასტურებთ, რომ კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი თქვენს ან მესამე პირის წინაშე რაიმე ცვლილების, მომსახურების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში.

17.6. თქვენ ეთანხმებით, რომ იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება, რომელიც ეკუთვნის კომპანიას ან მომსახურების მომწოდებლებს ან ვებგვერდს, არ იმუშავებს გამართულად, ოპერაციის, ტრანზაქციის ან ტრანსმისიის შეფერხების ან შეწყვეტის, მონაცემების ან კონტაქტის ან ხაზების დაკარგვის ან დაზიანების, მესამე პირთა მიერ საიტის ან მისი შემადგენლობის მესამე პირთა მიერ უკანონო გამოყენების, ან ნებისმიერ ჩვენს კონტროლს მიღმა არსებული გარემოების შემთხვევაში:

17.6.1. კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი დანაკარგისთვის, მათ შორის მოგების დაკარგვისთვის, რომელიც გამოიწვის ზემოაღნიშნულმა, და ასეთი დანაკარგი არ ანაზღაურდება;

17.6.2. თუ რაიმე ასეთი შეცდომა გამოიწვევს თქვენი მოგების ან თქვენთვის გადასახდელი მოგების გაზრდას, თქვენ არ გაქვთ უფლება მიიღოთ ასეთი მოგება. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ კომპანიას ასეთი შეცდომის შესახებ და დაუბრუნოთ კომპანიას ასეთი შეცდომის შედეგად თქვენს ანგარიშზე ჩარიცხული ყველანაირი მოგება (კომპანიის მითითების შესაბამისად) ან კომპანიამ შესაძლოა, თავისი შეხედულებისამებრ, ჩამოგაჭრათ თქვენი ანგარიშიდან აღნიშნული მოგების ოდენობითი თანხა.

17.7. მაქსიმალური ფინანსური პასუხისმგებლობა თქვენი ვებ-გვერდისა და მომსახურების გამოყენებისათვის არ უნდა აღემატებოდეს იმ მომსახურების ღირებულების რაოდენობას, რომელიც თქვენ მიუთითეთ მომსახურებიდან გამომდინარე

თქვენს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, 1 (ერთი) თვით ადრე მანამ, სანამ წერილობითი შეტყობინებით მოგვმართავთ კომპენსაციის მოითხოვნით.

18. მომხმარებლის შეთანხმების დარღვევა

18.1 თქვენ სრულად ანაზღაურებთ ზიანს, დაიცავთ ჩვენს ოფიციალურ პირებს, დირექტორებს, თანამშრომლებს, აგენტებს, კონტრაქტორებსა და მომწოდებლებს ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების, დანაკარგების, ხარჯების, საჩივრების, პრეტენზიების, ვალდებულებების და ზიანის (მათ შორის იურიდიული საფასურის) ვალდებულებისგან, მიუხედავად იმისა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს, გონივრულად არაპროგნოზირებადი მიზეზით, შემდეგ შემთხვევებთან დაკავშირებით:

18.1.1. მომსახურების ხელმისაწვდომობა და გამოყენება თქვენს მიერ ან თქვენი მომხმარებლის სახელით და პაროლით;

18.1.2. თქვენ მიერ მომხმარებლის წესების ნებისმიერი ვადების და პირობების ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში;

18.2 შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება შევარჩიოთ ჩვენი დისკრეციით, თქვენი ანგარიშის ნებისმიერი შეჩერება ან შეწყვეტა, შეგატყობინოთ თქვენ (თქვენი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით), რომ დარღვეულია შეთანხმების პირობები, რომ მოვითხოვთ შესაბამისი მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა და/ან მოვითხოვთ თქვენი მხრიდან მოქმედების შესრულება ან შეცდომის გამოსწორება და გაგაფრთხილოთ ჩვენი დაგეგმილი ქმედებების შესახებ, თუ არ აკეთებთ ამას, ყოველთვის მიუთითეთ, რომ ასეთი შეტყობინება არ განიხილება წინასწარ გაფრთხილებად თქვენი ანგარიშის შეჩერებამდე ან შეწყვეტამდე.

18.3 ჩვენ უფლება გვაქვს ნებისმიერ დროს გავაუქმოთ ნებისმიერი მომხმარებლის ანგარიში, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი შერჩეული თქვენს მიერ ან განთავსებული ჩვენს მიერ, თუ ჩვენი გონივრული აზრით თქვენ არ შეასრულეთ ამ შეთანხმების რომელიმე დებულება.

19. მიმოწერის თავისებურებანი

19.1. მომსახურების გამოყენებისას კომპანიას შეუძლია უზრუნველყოს მიმოწერის საშუალება, რითაც შეძლებთ სხვა მომხმარებლებთან კომუნიკაციას. კომპანია იტოვებს უფლებას განიხილოს მიმოწერა და შეინახოს აღნიშნულ საშუალებაში გაკეთებული თითოეული განცხადების ჩანაწერი. საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება ექვემდებარება შემდეგ წესებს:

19.1.1 თქვენ არ უნდა გააკეთოთ ისეთი განცხადებები, რომლებიც აშკარად სქესობრივად ან უხეშად შეურაცხყოფელია, მათ შორის ფანატიზმის, რასიზმის, სიძულვილის ან უხამსობის შემცველი/გამომხატველი განცხადებები.

19.1.2 არ უნდა გააკეთოთ განცხადებები, რომლებიც ახდენენ რეკლამირებას, პოპულარიზაციას ან სხვაგვარად უკავშირდება სხვა ონლაინ ობიექტებს.

19.1.3 თქვენ არ უნდა გააკეთოთ განცხადებები კომპანიის, ვებ-გვერდის ან ნებისმიერი სხვა ინტერნეტ ვებ-გვერდის შესახებ, რაც უკავშირდება კომპანიას და არის არასწორი და/ან მართლსაწინააღმდეგო ან/და ზიანის მომტანი კომპანიისთვის.

19.2 იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არღვევთ რომელიმე ზემოხსენებულ დებულებას მიმოწერის ფუნქციასთან დაკავშირებით, კომპანიას უფლება აქვს გააუქმოს თქვენი მიმოწერის შესაძლებლობა ან დროებით ან მუდმივად დახუროს თქვენი ანგარიში.

20. გარდამავალი დებულებები

20.1 იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებლის ხელშეკრულების რომელიმე ნაწილი მიიჩნევა უკანონოდ, ძალადაკარგულად ან ნებისმიერი მიზეზით შეუსრულებლად, მაშინ ეს დებულება ითვლება დანარჩენი მომხმარებლის შეთანხმებიდან განცალკევებულად და გავლენას არ მოახდენს მომხმარებლის შეთანხმების მოქმედების ვადასა და შეთანხმების სხვა ნებისმიერი დებულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევებში, ძალადაკარგულად გამოცხადებული ან გაუთვალისწინებელი ნაწილი უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ შეესაბამებოდეს შესაბამის კანონებს, რათა მაქსიმალურად მიახლოებულად ასახოს მხარეების ორიგინალური განზრახვა და ამ შეთანხმების ნამდვილი არსი.

20.2. მომხმარებლის ხელშეკრულების ვერცერთ პირობაზე უარი ვერ იქნება მიჩნეული როგორც უარი წინასწარი ან შემდგომი დარღვევის თაობაზე მომხმარებლის ხელშეკრულების ნებისმიერ პირობასთან მიმართებაში.

20.3. თუ სხვაგვარად არ არის ნათქვამი, არ შეიძლება მომხმარებლის ხელშეკრულებით შეიქმნას ან მისცეს რაიმე უფლებები ან რაიმე სხვა სარგებელი მესამე პირებს.

20.4. მომხმარებლის ხელშეკრულებაში შენ/თქვენ ან თქვენი ან მომხმარებელი ან საბოლოო მომხმარებელი ნიშნავს პირს ვინც იყენებს მომსახურებას წინამდებარე მომხმარებლის ხელშეკრულების ფარგლებში. თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული, "ჩვენ", "ჩვენს" ან "ჩვენი" ნიშნავს კომპანიას და მის შვილობილ კომპანიებს, ფილიალებს, დირექტორებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებსა და კონტრაქტორებს.

20.5. სახელმწიფო ან/და იურისდიქციის შესაბამისად შეიძლება საჭირო გახდეს გარკვეული საგადასახადო ფორმების შევსება თუ თქვენი მოგება მიაღწევს დასაბეგრ ბარიერს და აღემატება მას. სერვისების გამოყენებით თქვენ ეთანხმებით, რომ სრულად შეესაბამებით ყველა სათანადო საგადასახადო კანონმდებლობას და ამავდროულად

ათავისუფლებთ კომპანიას თქვენთან თანამშრომლობსათან დაკავშირებული ნებისმიერი
ვალდებულების წარმოშობისგან.